



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დაღოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (9.838)

4 - 11 აგვისტო 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირული გამოცემა

„ელიაობა“ და „დაღოფლისწყარობა“ იზეიბენ

10 წელი აგვისტოს ტრიდან...

მმ.2



მმ.2



როცა სივრთხილეს ოქროს ფასი აქვს...



მმ.3

ღირსი სერაფიმა სართველი

მმ.5



ლეგალიზებული მარიხუანა- დამოკლეს მახვილი საქართველოს თავზე?!



მმ.4

კიუდოს ორი ჩემპიონი - ახალკაცი და ბექაური



მმ.8

ჩვენი თანამეგობრების

ბანერები რუსთაველი



მმ.8

„ელიაობა“ და „დედოფლისწყარობა“ იზიარებს



2 აგვისტოს მართლმადიდებლური სამყარო ელია თეზბიტელის ხსენების დღეს აღნიშნავს.

„ელიაობას“ განსაკუთრებულად დღესასწაულოვნად დედოფლისწყაროში.

ელიას მთაზე წმიდა ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარი მეექვსე საუკუნიდან არსებობს. ეს არის წმინდა ელიას სამლოცველო, რომელსაც ძველთაგანვე დიდ პატივს სცემს დედოფლისწყაროს და მთელი ქიზიყის მოსახლეობა. ყოველ 2 აგვისტოს, წმინდა დიდებული წინასწარმეტყველის - ილია თეზბიტელის ხსენების დღეს, უამრავი ხალხი იკრიბება აქ, ღამეს ათევენ და ღამის ალაველინენ წმინდანის სადიდებლად.

წმ. ელიას ტაძარი 2006 წელს აშენდა ძველი ტაძრის ნაშთებზე. არქეოლოგიური გათხრები აქ ეკლესიის არსებობას ჯერ კიდევ VI საუკუნეში ადასტურებს. ალექსანდრე დიუმას (მამა), რომელმაც აქ 1859 წელს იმოგზაურა, მოსახლეობისგან ერთი საინტერესო ლეგენდა ჩაუწერია, რომლის მიხედვითაც, აქ წმინდა ელიასთვის ყორანს მოქონდა საჭმელი და სწორედ ამ ადგილიდან ამაღლდა ზეცას, მას შემდეგ, რაც თავისი მოსახლამის მონაფეს, ელისეს დაუტოვა.

ტრადიცია არც წელს დაირღვა და ელიას მთაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.


ტრადიციულად, ელიაობისა და დედოფლისწყაროების დღესასწაულებს მიეძღვნა ბიძინა მახიაშვილის მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ელია თეზბიტელის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დღეს გაიმართა.

შეჯიბრი ოთხ წონით კატეგორიაში ჩატარდა და მასში მონაწილეობა დედოფლისწყაროელმა, ლაგოდეხელმა, ყვარლელმა, ახმეტელმა, საგარეჯოელმა, თბილისელმა, წყნეთელმა, გორელმა და კასპელმა სპორტსმენებმა მიიღეს.

გამარჯვებულები საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ თამაზაშვილმა და ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ დააჯილდოვეს.

ბიძინა მახიაშვილის ხსოვნის ტურნირს სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი ესწრებოდნენ.

დღის დასასრულს ჩატარდა საზეიმო გალა-კონცერტი, სადაც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეები დაასახელეს და წარმატებული დედოფლისწყაროელები დააჯილდოვეს.



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გადადგა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას მზია თოდუა შეასრულებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას - გიორგი მიქაუტაძე დღეს დალიდან გავერცელდა განცხადება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობა დატოვებდა. ჩემთვის ეს განცხადება იყო სამწუხარო და მოულოდნელი. მინდა ჯანმრთელობა ვუსურვო ქალბატონ ნინოს, - ამის შესახებ იუსტიციის საბჭოს მდივანმა, გიორგი მიქაუტაძემ საბჭოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ნინო გვენეტაძეს და პირადად მას გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა ჰქონდათ, თუმცა ბოლო დროს მათი ხედვები მნიშვნელოვნად დაახლოვდა.

კითხვაზე, ხომ არ უკავშირდება ნინო გვენეტაძის მიერ თანამდებობის დატოვების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საბჭოს მხრიდან ზენოსის საკითხს, გიორგი მიქაუტაძემ განაცხადა, რომ ეს არის მცდელობა, პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ მიმდინარე მოვლენები და პოლიტიკით დაიტვიტონ სასამართლოს სისტემა.

„ეს ნამდვილად არ არის ასე. იცით, საბჭოს სხდომებიდანაც, რომ გარკვეულ თემებზე გვექონდა განსხვავებული მოსაზრებები, თუმცა ბოლო პერიოდში ჩვენი ხედვები მაქსიმალურად დაახლოებული იყო. ჩვენ გადასული ვიყავით საქმიანობის კონსტრუქციულ რეჟიმში. ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიც ამაზე მეტყველებს, რომ თითქმის ერთსულოვნად იყო საბჭო ყველა საკითხის მიმართ განწყობილი. ეს აგრეთვე დადასტურდა სტრატეგიის შესრულების წლიური ანგარიშის მიხედვით და თუ არ ვცდები, თავმჯდომარეც გააკეთა ამაზე კომენტარი“, - განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.

რაც შეეხება პროცედურებს, გიორგი მიქაუტაძის თქმით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს ნინო გვენეტაძის მოადგილე მზია თოდუა. მისი თქმით, ის არის სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას ის ასრულებს მოვალეობას.

რაც შეეხება იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, ამ ფუნქციას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი მდივანი, გიორგი მიქაუტაძე შეასრულებს.

შეგახსენებთ, რომ უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე დაკავებულ თანამდებობას ტოვებს. ნინო გვენეტაძე გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობას და საზღვარგარეთ რამდენიმეთვიანი მკურნალობის საჭიროებას ასახელებს.

საქართველოში ანგელოზების მერკელის ოფიციალური ვიზიტი შედგება

მთავრობის ადმინისტრაციაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე საქართველოში გერმანიის ელჩს ჰაიკე ფაიხს შეხვდა.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში განაცხადეს, მხარეებმა ისაუბრეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვიზიტზე საქართველოში, ორმხრივი ურთიერთობებსა და ქვეყნის ეკონომიკურ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე.

პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ავსებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მამუკა ბახტაძემ საზოგადოებრივი განცხადებით აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ავსებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მამუკა ბახტაძემ საზოგადოებრივი განცხადებით აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ავსებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მამუკა ბახტაძემ საზოგადოებრივი განცხადებით აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ავსებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

მამუკა ბახტაძემ საზოგადოებრივი განცხადებით აღნიშნა, რომ მთავრობა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ავსებს კანცლერ მერკელის ოფიციალურ ვიზიტს საქართველოში, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები იაპონურ ენაზე ითარგმნა

ვაჟა-ფშაველას პოემა, „ალუდა ქეთელაური“ იასუჰირო კოჯიმა იაპონურად თარგმნა. „ალუდა ქეთელაურის“ გარდა, ვაჟას პოემებიდან ქართულიდან იაპონურად იასუჰირო კოჯიმა „სტუმარ მასპინძელი“ და „გველის მჭამელი“, ხოლო მოთხრობებიდან „შვლის ნუკრის ნამბობი“, „ვერხვი“ და „ჩხიკვთა ქორნილიც“ თარგმნა და ერთ ნიგანდ გამოცხადდა.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები, იაპონელმა ლინგვისტმა, წლების წლის წინ ნაიკითხა. მათი თარგმნა ორი მიზეზის გამო, გადაწყვიტა. პირველ რიგში, სურდა, რომ სამშობლოსთვის ის ქართველი პოეტი გაეცნო, ვინც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მეორე - უნდა, ტოკიოში თენგიზ აბულაძის ფილმების ჩვენებამდე, იაპონელებს ქართულ კულტურაზე წარმოედგინა შექმნათ.

იასუჰირო კოჯიმა იმ ფილმების თარგმანზე მუშაობს, რომლებიც 14 ოქტომბერს ტოკიოში, ქართული ფილმების ფესტივალზე იქნება ნაჩვენები.

პრეზიდენტმა მშ მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა 83 მსჯავრდებული შეიწყალა. აქედან, 40 საპატიმროს დღესვე დატოვებს, 43-ს კი სასჯელი შეუმცირდება.

შენიშნულია საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ზვიად ქორიძის განცხადებით, შეწყალებულითა შორის სამი ქალი, ერთი არასრულწლოვანი და ერთი უვადო მსჯავრდებულია.

„საქართველოს პრეზიდენტმა გამოცხადდა შეწყალების მორიგი აქტი. მან შეიწყალა 83 პატიმარი. შეწყალების კომისია 2018 წლის 23-დან 27 ივლისის ჩათვლით მუშაობდა, 876 მსჯავრდებულის საქმე განიხილა და პრეზიდენტს შესაბამისი რეკომენდაციები მიანოდა. პრეზიდენტმა განიხილა რეკომენდაციები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყალდებინა 83 მსჯავრდებული.“

83 მსჯავრდებულს შორის არის ერთი უვადო მსჯავრდებული, რომელსაც პრეზიდენტმა დაუდგინა გათავისუფლების კონკრეტული თარიღი. სულ შეწყალებულითა შორის არის სამი ქალი მსჯავრდებული, მათგან ერთი დღესვე გათავისუფლდება, ხოლო ორს შეუმცირდა სასჯელი. არის ერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებულიც, - განაცხადა ქორიძემ.

მისივე თქმით, დეკანოზი გიორგი მამალაძე მსჯავრდებულთა იმ სიაში, რომელსაც კომისია განიხილავდა, არ იყო და მასთან დაკავშირებით რეკომენდაცია პრეზიდენტისთვის წარდგენილი არ ყოფილა.

„გიორგი მამალაძის სასამართლო პროცესი სრულად დამთავრდა გუშინ. შესაბამისად, კომისიაზე მისი საქმე ვერ განიხილებოდა, - აღნიშნა ზვიად ქორიძემ.“

როსა სიფრთხილეს ოქროს ფასი აქვს...

დედოფლისწყაროში გაუფრთხილებლობით გამოწვეულმა ხანძრის შემთხვევებმა იმატა. შირაქის ტერიტორიაზე, ხანძრის შედეგად, დაახლოებით, 200 მეტრზე ქარსაცავი ზოლი და 2500 ჰექტარზე ნახორბლარი დაინვა. ხანძარის ჩაქრობა გვიანდამით მოხერხდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ბოლო დღეებში, შირაქში ხანძრის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

„რამდენიმე დღის წინ ქარსაცავი ზოლი დაინვა, რომელიც 90-იან წლებში გაჩეხეს და თვითგანახლების პროცესში იყო. ახალი ამონაყარი ჰქონდა. ამ ერთი ხანძრის ჩაქრობა ტრაქტორებისა და სახანძრო მანქანების საშუალებით შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ სამხუხაროდ, სხვა ხანძრებზე გვექონდა. ხანძრის გაჩენას მალაღობი ტემპერატურა უწყობს ხელს. 60 ათას ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი მიწა დედოფლისწყაროში და ფერმერებისგან ყოველდღიურად ვიღებთ ფაქტობრივად ხანძრის შესახებ. დიდი ფართობებია დამწვარი“, - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, დედოფლისწყაროში ცეცხლი დაახლოებით 2500 ჰექტარზე გავრცელდა, დაინვა ნახორბლარი ტერიტორია.

ხანძარი ხშირად ფერმერების დაუდევრობით ვრცელდება. მოსავლის აღების შემდეგ ფერმერები ნარჩენებს ცეცხლს უკიდებენ და უყურადღებოდ ტოვებენ. ამ დროს ყველას ავინებდა, რომ სიფრთხილეს ოქროს ფასი აქვს...

სამხუხარო ფაქტი მოხდა სოფელ ფიროსმანშიც- ხანძარმა 200 ჰექტარზე მეტი ვენახი გაანადგურა და ამდენივე ოჯახი აზარალა. ცეცხლი არხილოსკალოდან გადმოვიდა და ის, ქარის გამო, რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ ჩააქროს.

„ხდება შემთხვევები, როცა ფერმერები უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე მიწის ნაკვეთს ცეცხლს უკიდებენ და მეზობლის ასაღებ მოსავალს და ქარსაფარ ზოლებს აზიანებენ. ამით ისინი საფრთხეს არა მხოლოდ ქარსაცავებს, არამედ საცხოვრებელ სახლებსაც უქმნიან. ამ ფონზე თითოეულ ჩვენგანს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ყველამ კარგად უნდა დავინახოთ პრობლემის სირთულე და მასშტაბი და გავაფრ-



თხილთ მოსახლეობა, რომ შემოხვინის გარეშე არ გადაწვას სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი და არ მიატოვოს ადგილი უყურადღებოდ. ასევე მნიშ-

ვნელოვანია ისიც, რომ თითოეულ ფაქტზე მოვხდინოთ მკაცრი რეაგირება“- განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

10 წელი აბჰისტოს ომიდან...

დრო სწრაფად გადის, ათი წლის წინ ქართული მიწა იბრძებოდა და მტერი დედაქალაქისკენ მოიწვედა. მაშინ უფრო უარეს შედეგს, თუნდაც სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და საქართველოს ნაწილებად დაქუცმაცებას გადავფიქროვებდით, მაგრამ შეგვჩნდა ორი ოკუპირებული ტერიტორია და რუსული სამხედრო აგრესიის განახლების მუდმივი საფრთხე. განვიხილო პერიოდში, სამხუხაროდ, ვერც საქართველომ და ვერც საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ვერ გადადგა ქმედითი ნაბიჯები რუსული ოკუპაციის შეჩერებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ამას თავისი სუბიექტური და რაც მთავარია, ობიექტური მიზეზები აქვს.

რუსეთის გარეშე ვერ მოგვარდება ვერც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა, ვერც მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთისა და მთი უმეტეს, ყირიმდონბასის პრობლემები. იმიტომ ვერ მოგვარდება, რომ კრემლი ამ პრობლემების მთავარი შემოქმედა და ის კონფლიქტების მხარეა, როგორც უნდა უნდოდეს ამის მიჩქმალვა. 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისკენ სწრაფვაც გახდა. ამ ომით რუსეთმა საქართველო ალიანსისკენ მიმავალ გზაზე სერიოზულად დაამუხრუჭა. ათი წლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი ისევ იმეორებს იმ სიტყვებს, რომლებიც აგვისტოს ომის დაწყებამდე აქვს ნათქვამი - რუსეთი მტრულ ნაბიჯად აღიქვამს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების შესაძლებლობას და ყველანაირად შეინიღნაღნებდა ამას. ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ კრემლი ისევ გაბედავს საქართველოში სამხედრო აგრესიას, თუკი ჩვენი ქვეყანა მართლაც აღმოჩნდება ალიანსის სრულფასოვანი წევრობის მიღების რეალობის წინაშე? სამხუხაროდ, ამის ძალიან დიდი ალბათობა არსებობს, რადგან კრემლს შერჩა როგორც 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოში, ისე 2014 წელს ყირიმისა და დონბასის ანექსია.



მანქანა და მისი მონდომებით რუსი საზოგადოების დიდ ნაწილში საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნეგატიური განწყობა ჩამოყალიბდა. სამხედრო ხასიათის კონკრეტული ღონისძიებებით ცხინვალის რეგიონისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები - გუფთის ხიდი, როკის გვირაბის პორტალები, ჯავაში განლაგებული სანჯავისა და საბრძოლო მასალების სანქოები რუსეთის არმიის დანაყოფებმა საზენიტო და სარაკეტო-საარტილერიო საშუალებებით დაცვის ქვეშ აიყვანეს. ცხინვალის ომისთვის ემზადებოდა და აგვისტოს პირველ რიცხვებში ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობა — ბავშვები, ქალები და მოხუცები ჩრდილო კავკასიაში გაიყვანეს.

ამ დროს ქალაქის მახლობლად უკვე იმყოფებოდნენ რუსულ ე.წ. სამშვიდობო ბატალიონში შემავალი გენმტაბის მთავარი სადაზვერუო სამმართველოს მე-10 ბრიგადის 104-ე ცალკეული სპეცდანიშნულების რაზმისა და ჩეჩნური ბატალიონი „ვოსტოკის“ თითო-თითო ასეული, ანუ „სამშვიდობო“ ბატალიონის პირადი შემადგენლობის

ნახევარზე მეტს მალალი საბრძოლო მომზადებისა და გამოცდილების მქონე მებრძოლები შეადგენდნენ. სეპარატისტთა ლიდერ ედუარდ კოკოითის განკარგულებაში იყო რუსეთის არმიის ე.წ. ჩრდილო ოსეთის სამშვიდობო ბატალიონი „ალანია“, დაკომპლექტებული ოსი ეროვნების მოქალაქეებით. აგრეთვე, სამთო სპეცდანიშნულების რაზმი, მოსახლეობისაგან შექმნილი მოლაშქრეთა რაზმები, „ომონისა“ და უშიშროების დანაყოფები, ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები, რუსეთიდან შემოსული კაზაკები და სხვ. ამგვარი ყრელი „არმიის“ ბრძოლისუნარიანობაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობით თუ შეიძლება. თუმცა 2008 წლის ომში კოკოითის არმია რუსეთის დაგებულ საფანგში უფრო სატყუარას როლს ასრულებდა. მოსკოვში დამუშავებული გეგმა ქართული არმიის ცხინვალში შეტყუებაზე იყო გათვლილი, რათა შემდგომ მისთვის მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება და რუს მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა დაეზოგებინა, რითაც რუსეთის არმიის საპასუხო მოქმედებებს მსოფლიო საზოგადოების თვალში გაამართლებდა.

ზაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს იმ უწყებათა წარმომადგენლები, რომლებსაც მაშინ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეხებოდათ, აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებით

საპარლამენტო კომისიაზე გამოსვლისას ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ რუსეთისგან რაღაც განსაკუთრებულს, ანუ პირდაპირი ჩარევის საფრთხეს ვერ ხედავდნენ. ქართული არმია ოს სეპარატისტებთან ბრძოლისთვის მზად იყო და მოულოდნელად რუსეთის პირისპირ აღმოჩნდა, რისთვისაც ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები, განსხვავებით რუსებისგან, არც მორალურად, არც შეიარაღებით მომზადებულნი არ იყვნენ. ქართული დანაყოფების დამრტყმელი ძალა ტანკები, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები და ჯავშანავტომობილები იყო. თუმცა თავდაცვისა და მინაგან საქმეთა სამინისტროების დანაყოფებს ურთიერთქმედება, ქალაქის პირობებში ჯავშანტექნიკის გამოყენებისა და მართვის საკითხები დამუშავებული არ ჰქონდათ, რაც ყველაზე მეტად ტანკების დანაკარგში აისახა. ომის წინ არმიას ჰყავდა 200-ზე მეტი ტანკი, რომლის დიდ ნაწილს T-72-ები, დანარჩენს კი მოძველებული T-55-ები შეადგენდა. ამ უკანასკნელთა საბრძოლო მოქმედებებში გამოყენება ცნობი-

ლი არ არის. ტანკების ნაწილმა თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში შიში-ის პროგრამით მოდერნიზაცია გაიარა და აღჭურვილი იყო ცეცხლის მართვის ავტომატური სისტემით, დამიზნება-დათვლიერების ელექტრონული აპარატურით, თბოვიზორით, გლობალური სანავიგაციო სისტემა GPS-ით, თანამედროვე რადიოსადგურით, ბორტკომპიუტერითა და სხვ., რისი წყალობითაც მოდერნიზებულ ტანკებს მოქმედება ღამითაც შეეძლოთ.

მონინალმდევე ცხინვალზე სატანკო შეტევას მოულოდა და მას წინასწარ დამუშავებული გეგმით დახვდა. კოკოითის რაზმებმა თითქმის უბრძოლველად დაიხიეს უკან და პოზიციები ქალაქის ცენტრში სამთავრობო შენობისა და სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის მახლობლად დაიკავეს. ქალაქის ქუჩებში ბრძოლისას, რაც უნდა ძლიერად დაეცული ტანკი იყოს, მაინც სჭირდება მას ქვეითებითა და სწრაფმსროლელი მცირეკალიბრიანი ავტომატური საცეცხლე საშუალებებით დაცვა. ქართველმა სამხედროებმა, ალბათ, უფრო გამოუცდელი ბის გამო, ეს ვერ გათვალისწინეს და მისი მიმე შედეგები ყველაზე მწვავედ გორის ცალკეულმა ჯავშანსატანკო ბატალიონმა იწვნია. 8 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში ბატალიონის ტანკების ერთი კოლონა ცხინვალის ცენტრის სიახლოვეს მოსკოვისა და ვაზლისპირა ქუჩების გადაკვეთაზე ქვეითების დაცვის გარეშე დარჩა. ქუჩის პირას მდებარე ოთხსართულიან სახლში ოსებს საცეცხლე ნერტილები ჰქონდათ მოწყობილი, საიდანაც, სავარაუდოდ, კოლონის შეწინავე ტანკს N406-ს კომპურაში ტანკსწინააღმდეგო ჭურვი გაარტყეს, რასაც სატანკო ჭურვების დეტონაცია მოჰყვა და შვიდტონიანმა კომპურამ დაახლოებით 10 მ იფრინა, შენობაში შესასვლელის რკინაბეტონის სახურავი გაგლიჯა და კიბეს დაეცა. იმავე ადგილზე ბატალიონის კიდევ ორი ტანკი — N408 და N409 განადგურდა. ხარებოვისა და გმირთა ქუჩების გადაკვეთის ახლოს დაზიანების გამო ცეცხრებულ თ-72AB-ს ოსმა მებრძოლებმა ეცხელი ნაუკიდეს. ტანკისტებმა დაზიანებული ტანკით გამოსვლა მოახერხეს, მაგრამ კოკოითის მოლაშქრებმა დააკავეს და კონდახებით ცემით დახოცეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯავისა და ცხინვალის რაიონებში როკის გვირაბიდან შემოჭრილი კილომეტრებზე გაჭიმულ რუსულ მექანიზებულ ქვედანაყოფებს მძლავრი და ეფექტური დარტყმა ქართული „ომის ღმერთმა“, საქართველოს შეიარაღებული ძალების საარტილერიო ბრიგადამ და ქვეითი ბრიგადების საარტილერიო დივიზიონებმა მიაყენეს. ამის დამადასტურებელი ფოტო-ვიდეომასალა ომის შემდგომ ვრცელდებოდა ინტერნეტითაც. მასალის ავტორები, ძირითადად, ის რუსი სამხედროები იყვნენ, ვინც ქართული შეიარაღებული ძალების საარტილერიო მუშაში საკუთარ თავზე გამოცხადეს.

(გაგრძელება გვ.7)

ლეგალიზებული მარიხუანა-დამოკლეს მახვილი საქართველოს თავზე?!

საკონსტიტუციო სასამართლომ პარტია "გირჩის" წევრების სარჩელი დააკმაყოფილა და მარიხუანას მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სასჯელი გააუქმა.

მოსარჩელეთა განმარტებით, მარიხუანას მოხმარება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ სფეროს. სარჩელის ავტორები მიუთითებენ, რომ მარიხუანას მოხმარებით შესაძლოა ზიანი მიადგეს მხოლოდ მისი მოხმარებლის ჯანმრთელობას, რომელიც თავადვე იქნება პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე.

“დასახელებული ქმედება არ უქმნის რეალურ საფრთხეს სხვა რომელიმე ღირებულ საჯარო ინტერესს. მარიხუანის მოხმარებლის დასჯა მხოლოდ მორალისტური და პატერნალისტური არგუმენტებით წინააღმდეგობაში მოდის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და, შესაბამისად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს”, - ნათქვამია საკონსტიტუციო სარჩელში.

ასევე, სასამართლომ მარიხუანას მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაწესება გამართლებულად მიიჩნია მაშინ, როდესაც აღნიშნულ ქმედებას ადგილი აქვს სასწავლო, სააღმწერდლო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, არასრულწლოვანთა თანდასწრებით და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან სახელისუფლებო წრეებშიც. „ჩემდა გასაოცრად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღმოაჩნდა ამ დარგის უფრო მაღალი ექსპერტიზა, ვიდრე ამ დარგის ექსპერტებს, - ასე შეაფასა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.“

სერგეენკომ აღნიშნა, რომ კომპარულ სიზმარშიც არ სურს, მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მყოფი გარკვეული პროფესიების მქონე პირების წარმოდგენა.

“ჩემი, როგორც ექიმის პოზიცია ასე-

თია, რომ ჩემდა გასაოცრად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღმოაჩნდა უფრო მაღალი ექსპერტიზა, ვიდრე ამ დარგის ექსპერტებს, რომლებსაც დღესაც არ აქვს შეჯერებული პოზიცია და მიმდინარეობს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსია. საკონსტიტუციო სასამართლომ ის გადაწყვეტილება მიიღო, რაც მიიღო. მე არ მაქვს უფლება, რომ დავინყო კრიტიკა, თუმცა ჩემი პოზიცია არის ის, რომ კომპარულ სიზმარშიც არ მინდა წარმოვიდგინო მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქირურგი საოპერაციოში, მასწავლებელი ან ავიადისპეტჩერი”, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

მარიხუანას გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

მარიხუანა მოქმედებს აზროვნებაზე, გააგებს უნარზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე, სწავლის შესაძლებლობაზე.

მარიხუანას, დოზისა და მისი მოხმარების ათვისების უნარის გათვალისწინებით შეუძლია გამოიწვიოს პანიკა, მოუსვენრობა და ტოქსიკური ფსიქოზი.

მისმა ხანგრძლივმა მოხმარებამ, შეიძლება სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებები გამოიწვიოს.

ფართომასშტაბურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ მარიხუანის მწვევლებს ფილტვები არ უზიანდებათ, თუმცა, მცირდება ყურადღებისა და მოტივაციის კოეფიციენტი. მარიხუანის მოხმარება იწვევს სირთულეებს სწავლაში და ზოგადად მეხსიერების დაქვეითებას, წერს *The New York Times*.

გამოცემა ჟოულ ოფ *Neurosciences* კი წერს, რომ მარიხუანა ტვინის ნაწილებს ერთმანეთთან კავშირს „აკარგინებს“. შედეგად, მისი მოხმარებლების ქცევები შიზოფრენიით დაავადებულებისას ჰგავს.

ნეიროფიზიოლოგების ჯგუფმა, რომელსაც მეთ ჯონსი ხელმძღვანელობდა, სინთეზური ნარკოტიკის გავლენა

იკვლია ვიროსებზე.

მარიხუანა ზემოქმედებს ტვინის გარკვეულ ნაწილზე, კერძოდ კი, ჰიპოკამპუსზე, რომელიც პასუხისმგებელია სივრცით ორიენტაციაზე, მეხსიერების გადამუშავებასა და ინფორმაციის შენახვაზე—რეპროდუქციაზე. ნეიროფუნქციონირება ირწმუნებიან, რომ ტვინის სწორედ ამ სფეროს დაზიანება იწვევს შიზოფრენიას.

მარიხუანა არღვევს კუჭის მუშაობას, იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლას, პირის სიმშრალეს, უკონტროლო სიცხილს, გულმავიწყობას...

აგრეთვე: მოქმედების შენელებას, მოდუნებულობას, ჰალუცინაციებს, გამოშტერებას, მისწრაფების დეფიციტს, ძლიერ გარდაქმნებს ხასიათში და ქმედებებში და ა.შ.

მარიხუანის მოხმარებლები ხში-

- მარიხუანა იწვევს თავბრუსხვევას;
- მარიხუანა იწვევს გულისრევის პროვოცირებას;
- მარიხუანა იწვევს შიმშილის შეგრძნებებს;
- მარიხუანა ხელს უწყობს რელაქსაციის პროცესს;
- მარიხუანა ანელებს ფსიქომოტორულ (მოძრაობითი) აქტიურობას;
- მარიხუანა აუარესებს ყურადღების კონცენტრაციას, ხელს უშლის სიტუაციის ადეკვატურად შეფასების უნარს;
- მარიხუანა ამცირებს ავტომატიზაციის მართვის და ყველა იმ საქმიანობის უნარს. რომელიც საჭიროებს ყურადღებას;
- მარიხუანა იწვევს საუბრის აჩქარებას და შეუკავებელ ყბედობას;

ემოციური ეფექტები, რომელსაც იწვევს მარიხუანა:

- მარიხუანა იწვევს ეიფორიას, კეთილდღეობის შეგრძნებას;
 - მარიხუანა იწვევს უზრუნველ მდგომარეობას, რომელიც მონაცვლეობს მოუსვენრობასა და შინაგანი შფოთვის მდგომარეობასთან;
- ნერვოზი ფსიქოლოგიური ეფექტები, რომელსაც იწვევს მარიხუანა:

- მარიხუანა იწვევს მოკვლევადიანი მეხსიერების, გაგების და რაიმე ამოცანის შესრულების უნარის გაუარესებას;

- მარიხუანა იწვევს დროის და სივრცის შეგრძნების დაკარგვას;
- მარიხუანა იწვევს აპათიას;
- მარიხუანა ამძაფრებს მხედველობით, სმენის და ყნოსვის შეგრძნებებს;
- მარიხუანა იწვევს მოტივაციის ნაკლებობას;
- მარიხუანა ამცირებს ტკივილის შეგრძნების ბარიერს;
- მარიხუანა იწვევს სექსუალური ემოციების ცვლილებებს;
- მარიხუანა იწვევს ჰალუცინაციებს;
- მარიხუანა იწვევს საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, აღქმის უნარის დაკარგვას;
- მარიხუანა იწვევს ფსიქოზს (განსაკუთრებულად დიდი დოზა);



რად ატარებენ თვალის წვეთებს, საღებავ რეზინას, სუნამოს ან ოდეკოლონს, ცდილობენ რა დაფარონ ესა თუ ის ეფექტები და სპეციფიკური სუნი.

- მარიხუანა იწვევს თვალის ლორწოვანი გარსის შესეებას, თვალის ანთებას;
- მარიხუანა იწვევს პულსის გახშირებას, გულისცემის გაძლიერებას;
- მარიხუანა იწვევს არტერიული წნევის მომატებას ან დაცემას;
- მარიხუანა არღვევს მოძრაობის ფუნქციებს;
- მარიხუანა იწვევს მოთენთილობას;
- მარიხუანა იწვევს ძილიანობას;
- მარიხუანა იწვევს ორგანიზმის ტემპერატურის ცვალებადობას;
- მარიხუანა იწვევს თავის ტკივილს;

რაბომ ითხოვს გზების ასოციაცია ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის დროებით დაკეპვას

საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია ავარიების შემცირების მიზნით, ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის დროებით დაკეპვას ითხოვს. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სპეციალისტების დასკვნით, გომბორის გზაზე საგზაო ინფრასტრუქტურა არასწორად არის მოწყობილი, გზა ხევში გადავარდნის ხელშემწყობ ფაქტორს ქმნის. ასევე, სუსტია საპოლიციო კონტროლი.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციამ გომბორის გზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები მას შემდეგ შეისწავლა, რაც ივნის-ივლისში, ამ გზაზე დაშავდა 40-ზე მეტი ადამიანი, 5 კი დაიღუპა.

შესწავლის შედეგად სპეციალისტებმა არაერთი სერიოზული დარღვევა გამოავლინეს. მათი დასკვნით, თბილისიდან გომბორის მიმართულებით, გადასახვევთან, წრიული მოძრაობის ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელია გზის ამ მონაკვეთის გავლა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე. არსებული მონიშვნა საფრთხის შემცველია საგზაო მოძრაობის ყველა მონაწილისთვის, მათ შორის ქვეითებისთვის.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითად სპეციალისტები დასკვნაში გზის მე-16-ე და მე-17-ე კილომეტრებზე არსებულ წვეტილ ხაზს უთითებენ, რომელიც დახაზულია მკვეთრ სახიფათო მოსახვევებში - „ანუ საგზაო მონიშვნა გასწრების ნებას რთავს სატრანსპორტო საშუალებას იქ, სადაც საპირისპირო მიმართულებიდან მოძრაი ავტომობილი საერთოდ არ ჩანს 50-100 მეტრის დამორბეობითა და კი“.

ვაზიანი-გომბორი-თელავის გზაზე პოლიციის მიერ საერთოდ არ წარმოებს სიჩქარის კონტროლი. არსად გვხვდება კამერები-რადარები. დასკვნის მიხედვით, საპოლიციო კონტროლი სუსტია, რის გამოც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა უმრავლესობა რეაგირების გარეშე რჩება.

უსაფრთხოების არანაირი ზომა არ არის მიღებული მეწყერსაშიშ ადგილებზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებიც კი არ არის განთავსებული.

მეწყერულ ადგილას გზა ჩანუღლია, წარმოქმნის ტალღოვან ზედაპირს და ართულეებს საჭის დამორჩილებას. გომბორის გზის მთელ მონაკვეთზე, საერთოდ უგულვებელყოფილია ქვეითთა არსებობა და იქ სადაც მონიშნულია „ქვეითთა გადასასვლელები“ არ შეესაბამება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასაც კი.

გაუქმებული და განადგურებული საფეხმავლო ბილიკები, რის გამოც მოსახლეობა საავტომობილო გზის უკიდურესად საფრთხის შემცველ მონაკვეთებზე გადაადგილდება.

საგზაო მონიშვნები აღარ აღიქმება. საგზაო ნიშნები საერთოდ არ არის განთავსებული გზის მნიშვნელოვან მონაკვეთებზე, რაც მძღოლს აუცილებელი ინფორმაციის გარეშე ტოვებს. ზოგიერთ ადგილას საგზაო ნიშანი გზის მარცხენა მხარეს არის განთავსებული, ნაცვლად მარჯვენა კიდე-სა.

არ არის გათვალისწინებული „ვირაჟი“ (გზის შიგნით დახრა), რაც ავტომობილებისთვის ხევში გადავარდნის რისკს ზრდის. გზაზე არსად არის მონიშნული შემადგენელი ჩიხი ავარიული სიტუაციის პრე-

ვენციისთვის, რაც ასეთი გზისთვის აუცილებელია.

მოუწესრიგებელია გზის გვერდულები. დამტვრეულია სასიგნალო ბოძები-სტები და დაზიანებულია შუქმარეკლები, რაც ართულეებს გზის პარამეტრების აღქმას ღამის საათებში.

გზის არაერთ მონაკვეთზე დაზიანებულია ლითონის თვალამრიდები და ბარიერული შემოღობვები, ზოგიერთ ადგილას ტროსები საერთოდ ჩახსნილია.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზა მოუვლელია.

გზის 50-ე კილომეტრზე, იქ, სადაც 9 ივნისს, თბილისიდან თელავში ექსპრესივამ მიმავალი, გავვებით სავსე მიკროავტობუსი გადავარდა, სახიფათო მოსახვევებზე 15-20 მამრის დაშორებით, გზაზე არის ორამო. დაღმართში მძღოლები ცდილობენ ორამოს ავტომობილი აარილონ და საპირისპირო მიმართულებით გადავინ, ამ დროს თელავიდან თბილისის მიმართულებით, მოსახვევიდან აღმართში ავტომობილი ავტომობილისთვის რეაგირება თითქმის შეუძლებელი ხდება.

ტრანსპორტისა და გზების ასოციაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 რეკომენდაციით მიმართავს. ერთ-ერთი რეკომენდაცია გომბორის გზაზე ე.წ. „შავი ნერტილის“ ზონების აღნიშვნის დაფუძნების განთავსებაა.

ასოციაციის თავმჯდომარის დავით მესხიშვილის განმარტებით, ტერმინი „შავი ნერტილი“ გზის ის კონკრეტული მონაკვეთები იგულისხმება, სადაც დროის მოკლე პერიოდში ბევრი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა ხდება, ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის 50-ე კილომეტრი კი უსუსტად ასეთი ადგილია: „ევროპის კავშირის რამდენიმე წელი სახელმწიფოს პრაქტიკა გვეუბნება, რომ თუ 2 თვის განმავლობაში, გზის ერთსა და იმავე მონაკვეთზე ხდება თუნდაც 3 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, მას ენიჭება „შავი ნერტილის“ სტატუსი. ექსპერტთა ჯგუფი სწავლობს პრობლემას ადგილებს; გვემავენ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს (სიჩქარის შემანელებელი ბორცვის მოწყობა, ადგილის განათება, საგზაო მონიშვნის და საგზაო ნიშნების განთავსება, ლითონის თვალამრიდების მოწყობა და ა.შ.) გამომდინარე ინდივიდუალური საჭიროებიდან. ძლიერდება კონტროლი მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებზე (რადარი, კამერა). შესაბამისი საგზაო ნიშნებითა თუ საინფორმაციო სტენდებით იზრდება მძღოლის ინფორმირებულობის ხარისხი (მაგალითად-დეტექტორული დაფა: „შენაწილე სვლა“). ნებისმიერ შემთხვევაში თავსდება საინფორმაციო დაფები, რომლებიც მძღოლებს ამცნობთ, რომ ისინი იმყოფებიან „შავი ნერტილის“ ზონაში, სადაც გარდაიცვალა-დაშავდა X-რაოდენობა ადამიანებისა და შეანელები სვლა, იყენებენ მაქსიმალურად ყურადღებით. ეს მისაღები ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ასეთმა მიდგომამ, ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს მოუტანა დადებითი შედეგი. ჩვენი გათვლით, საქართველოში მხოლოდ „შავი ნერტილის“ მონიშვნებით, შესაძლებელი გახდება გარდაცვლილებისა და დაზარალების შემცირება 20-30%-ით“.

ღირსი სერაფიმე საროველი



ყოველი წლის 1 აგვისტოს აღინიშნება წმინდა სერაფიმე საროველის ხსენების დღე.

ეს დღე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან 1903 წელს წმ. სერაფიმე საროველის კანონიზირებისთანავე ეკურთხა ტაძარი სოფ.სამრეკლოსი და იგი არის ამ წმინდანის სახელობის პირველი ტაძარი მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში.

ღირსი მამის, სერაფიმე საროველის ხსენების დღე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა სამუკაშვილმა მრევლს სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრიდან მიულოცეს.

სადღესასწაულო წირვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ თიანეთისა და ფშავეს-ხევსურეთის ეპისკოპოსთან, მიქაელთან, წალკელ ეპისკოპოსთან, გრიგოლთან, სამთავისისა და კასპის ეპისკოპოსთან, დამიანესთან და საქართველოს ოთხი ეპარქიის ასსულიერო პირთან ერთად აღასრულა.

მის სახელზე პირველად მიძღვნილი ტაძარი საქართველოში, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოშია. მას მე-19 საუკუნეში „სვირინოვკა“ ერქვა. ადგილი შესყიდული ჰქონდა რუს ფეოდალს გრაფ მიქაელ სვირინოვს. მაშინდელ მცირე დასახლებაში წამოასახლა რუსთა გარკვეული ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ რუსები ისედაც იმყოფებოდნენ თუქურშიში (დედოფლისწყარო). იქ განთავსებული იყო რუსული საჯარისო ნაწილები და ასევე, რუსული სამხედრო სასწავლებელი. გრაფ მიხეილის ინიციატივით დასახლება სვირინოვკაში დაიწყო მონრდული ტაძრის მშენებლობით, მთავარანგელოზთა სახელზე.

საუკუნის დასაწყისში მოხდა ღირსი მამის წმიდა კანონიზირება. გრაფმა გადაწყვეტილება შეცვალა და 1903 წელს გასრულებული ტაძარი მამა სერაფიმეს სახელზე ეკურთხა. შედეგად, ფაქტობრივად, იგი მის პირველ ტაძრად გვევლინება. აგებული იყო რუსული არქიტექტურის მიხედვით. ადგილობრივი ნედლეულის შესაბამისად აშენდა ქვაკუთხედად დახეობილი კორპუსითა და ნითელი აგურით. გადმოცემის მიხედვით, თავს მსხლისებური ფორმის გუმბათი ედგა. მისი ფოტოსაზე შემორჩენილი უნდა იყოს სიღნაღის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.ტაძარი მოხატულ იქნა მე-19 საუკუნისთვის დამახასიათებელი მხატვრული მანერით, „რეალიზმი“. მისი ფრგმენტები ბოლო წლებამდე იყო შემორჩენილი. ტაძარმა ფუნქციურად ორი

ათეული წელი იარსება. მსახურება ცნობილი მწვავე მოვლენების გამო შეწყდა. იგი ძალადობის მსვერპლი გახდა. მღვდელ ნიკოლოზს (ეროვნება უცნობია) ფიზიკურად გაუსწორდნენ, ეკლესიიდან გამოიყვანეს და სოფლიდან შეურაცხყოფითი ფორმით განდევნეს. გადმოცემის მიხედვით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, საიდუმლო ვითარებაში მოკლეს. ტაძარი მკვიდრად ნაგები იყო და ვერ დაანგრეს. ბოლოს გუმბათი ააფეთქეს. ჯვარი მოგლიჯეს და სოფლის ბილიკზე ტალახში შეგნებულად ჩაადგეს, რათა გზად გამავალი არ დასვრის გამო ზედ ფეხით შემდგარიყო.

მე-20 საუკუნეში იგი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა. შიგ დააარსეს სოფლის პირველი სკოლა, შემდეგ ბიბლიოთეკა, კინოსახლი, ხორბლის სახაზი.

საუკუნის ბოლოს მეტად სავალალო ვითარებაში უპატრონოდ იყო მიტოვებული. ბუნებრივია, არც რეკონსტრუქციის უფლებას იძლეოდნენ. 1989 წელს მოინახულა კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ. მიუხედავად ამისა, ინიციატივით არსებული ძნელებლობის გამო, აღდგენა-ამოქმედება ხანგრძლივად შეუფერხდა. ტაძრის ამოქმედებამდე წმიდა მამას ემსახურებოდა მცხოვანი მღვდელი სოლომონ ბოსტოლანაშვილი.ფიზიკური უძლურების მიუხედავად, გარდაცვალებამდე ერთგულად აღასრულებდა მცირე მსახურებებს. ამოქმედება ნატვრად გაჰყვა. დაკრძალულია ტაძრის ეზოს შესასვლელში. ეპარქიის სამღვდლოების ძალისხმევით ეტაპობრივად მოხდა მისი რესტავირება. ადგილობრივი მოსახლის მითითებით მოიძიეს ძველი ჯვარი.

ხსენებული მებლაღის შემდეგ მას ჯვარი გვიან ღამით აუღია და სოფლის სასაფლაოზე საფლავის ჯვრის სახით დაუფლავს. ამგვარად, საბოლოო ნახდენისგან გადაურჩენია. მისივე მითითებით, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, შვილიშვილს ჯვრის ამბავი გაუზიხლა (შვილიშვილი ამჟამად ადგილობრივი ეპარქიის მღვდელმსახურია).

წმიდა სერაფიმე საროველის სახელობის ტაძარი, რომელიც სერიოზულად იყო დაზიანებული 2012 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა... მეოცე საუკუნის დასაწყისის (სავარაუდოდ 1903-1905 წლები) ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, რომელიც სოფ. სამრეკლოსს განაპირასაა აგებული, როუსული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ფორმებით გამოირჩევა. სოფელ სამრეკლოში ღირსი სერაფიმე საროველის სახელობის XIX საუკუნის ტაძარს, თავდაპირველად, საკუთარი სახსრებით მცირე რემონტს უტარებდა ვახტანგ

კიკლაშვილი, ოდნავ მოგვიანებით, 200-2001 წლებში სააქციო საზოგადოება „მშვიდობის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ კიკლაშვილმა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კორპორაციის მალაროთა სამმართველოს უფროსმა ვასილ ყოჩიაშვილმა, გამოთქვეს სურვილი, მიეხედათ ტაძრისთვის და, სააგიტაციო მიზნით, გამოსცეს ორგვერდინი პროსპექტი, რომელიც მოკლედ ასახავდა წმინდანის ცხოვრებას და ეკლესიის ისტორიას. ტაძრის რესტავრაცია 2012 წელს, ირაკლი ლარიბაშვილის ინიციატივით, ბიძინა ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა. ხელახლა აშენდა გუმბათი, გამაგრდა და შეილესა დაბზარული კედლები. განახლებული ტაძარი 2012 წლის 1 აგვისტოდან მოქმედებს. მანამდე სოფელ სამრეკლოს მოქმედი ეკლესია მრავალი ათეული წლის განმავლობაში არ ჰქონდა.

გუმბათი ხელახლა დაედგა. მსახურება განახლდა, დაუდგინდა მუდმივი მღვდელმსახური (დეკანოზი გაბრიელ ბენიანიძე).

2017 წლის 15 იანვარს ეპისკოპოს დიმიტრის (კაპანაძე) მიერ ხელახლა ეკურთხა. ამავე წლის 4 დეკემბერს ყოვლადწმიდა ღმერთისმშობლის ტაძრადმიყვანების დღესასწაულზე დაფუძნდა დედათა მონასტერი. წმიდანი არსებულ დასახლებაში დიდი სიყვარულით იხსენიება. ამდენად, ღმერთისმშობლის ნიღბვედრი ქვეყანა ფლობს ზეციური დედოფლის ერთგულ და ფრიად მსასობელი წმიდანის სახელზე აშენებულ პირველ ტაძარს.

წმინდა სერაფიმე საროველმა თავი ბავშვობიდანვე ღმერთს მიუძღვნა. მას როცა 19 წელი შეუსრულდა, დედას მონასტერში წასასვლელად კურთხევა სთხოვა. დედამ მონაზვნური ღვანლისათვის ვაჟიშვილი ბრინჯაოს დიდი ჯვრით აკურთხა. ამ დედისულ ჯვარს იგი სიკვდილამდე მკერდზე ატარებდა.

საროვის სავანეს, სადაც სერაფიმე მივიდა, ყოველი მზრიდან უღრანი ტყე ეკრა. აქ, შუაგულ ტყეში, მან თავისთვის პატარა ქოხი აიშენა და, ქვეყნისგან მოშორებული, დღედაღამ ლოცულობდა. ხშირად წმინდა სერაფიმეს სიცივის, შიმშილისა და სხვა გაჭირვების ატანა უხდებოდა. ასე გაატარა მან მრავალი წელი. როცა ბოლოს და ბოლოს თავისი სენაკის კარი გახსნა, მასთან ხალხმა იწყო მისვლა. ისინი წმინდა მამას ლოცვას სთხოვდნენ. მასთან ცვილის საწითლები მიჰქონდათ, რათა ისინი ლოცვის დროს ხატების წინ აეთათ: საწითლები ხატების წინ ხომ ისევე იწვიან, როგორც ღვთის წინაშე ადამიანთა გულეები. ამ პატარა სენაკში დღედაღამ ერთი საწითლები და ამიტომ ყველაზე ყინვიან, ცივ დღეებშიც კი აქ ცხელდოდა და ღუმელიც არასდროს ენთო.

— არ შემოიღია ჩემს ლოცვებში რამდენჯერმე ყველას მოხსენიება, რადგან ისინი ბევრი არიან, — ამბობდა წმინდა სერაფიმე, — მე მათ საწითლებს ვანიჭებ და ვლოცულობ: უფალო, მოხსენე ყველა მენი მონა, რომელთა სულებისთვისაც მე უვარგისმა ეს საწითლები და კანდლები ავიწიე!

წმინდა სერაფიმე ღვთის მიმართ დაუცხრომელად ლოცულობდა. ამის გამო მისი გული სიყვარულით უფრო და უფრო ენთებოდა, უყვარდა არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ყოველი მისი ქმნილება, მის მიერ შექმნილი ბუნება. ამგვარად, გამუდმებული ლოცვითა და ღვთის ხსოვნით მან თავი ცოდვისაგან განიწმინდა. მისი ცხოვრება სამოთხეში პირველ ადამიანთა ცხოვრებას დაემსგავსა, სადაც მხეცები ადამიანს

ემორჩილებოდნენ და არც მას და არც ერთმანეთს არ ენებდნენ.

ღამით წმინდანის სენაკთან მიდიოდნენ მხეცები: დათვები, მგლები, კურდღლები და მეღიები, გველები, ხვლიკები და სხვა ქვეყნარმავლებიც მოხიზავდნენ. წმინდა სერაფიმე სენაკიდან გამოდიოდა და მათ თავისი საპურრიდან აჭმევდა, სადაც ის კვირის სამყოფ პურს ინახავდა. მრავალი მხეცი მიდიოდა მასთან, პური კი ყველას ჰყოფნიდა.

ღირსი სერაფიმე, თავად სუფთა სულის, მშვიდი და უბოროტო, ბავშვებს განსაკუთრებული სინაზით და აღურსით ეპყრობოდა. ახსოვდა წმინდა ბერს, რომ უფალო „მცირეთა ამათ“ ისევე იფარავს, როგორც ის დაიფარა, როცა ბავშვობაში მალალი სამრეკლოდან ჩამოვარდა. ეს ამბავი ასე მოხდა: ერთხელ დედამ ბიჭი ტაძრის მშენებლობაზე წაიყვანა და მასთან ერთად სამრეკლოზე, სულ ზემოთ ავიდა. ბავშვი კიდეზე დაუდევრად დადგა (მოაჯირი ჯერ არ იყო) და გადმოვარდა. შეძრწუნებული დედა კიბეზე დაეშვა, იმედი აღარ ჰქონდა, რომ შვილს ცოცხალს ნახავდა. როგორ გაიხარა, როცა დაინახა, რომ ვაჟიშვილი უვნებლად გადარჩა. უფალომ სასწაულით დაიფარა თავისი რჩეული, უწყალო, მომავალში რამდენ სიხარულს მოუტანდა ადამიანებს.

ერთხელ, ღირსი სერაფიმეს გარდაცვალებამდე ერთი

და, ვერ მოითინა და სულ ერთი წუთის შემდეგ ბალახებში მისი თავი გამოჩნდა. მას თითო პირზე ჰქონდა მიდებული, თითქოს ბავშვებს სთხოვდა არ გაეთქვათ.

წმინდა სერაფიმე ბავშვებისთვის ბალახში ბლიკე გადაქელდა და თავისთან დაგიდასხა. ჩვენ შორის ყველაზე პატარა — ლიზა — პირველი ჩამოეკიდა კისერზე და ლოყა მხარზე ჩამოადო.

— საუნჯეო, საუნჯეო! — ჩურჩულით ამბობდა ბერი და გულში სათითაოდ გვიკრავდა.

მოზარდი მწყემსი ბიჭუნა სიომა მონასტრისკენ ყვირილით გაექანა: „აქეთ, აქეთ! აქაა მამა სერაფიმე! აქეთ!“ ჩვენ შეგვეცხვა. ჩვენი ნაშობახილები და გულში ჩაკვრა ღალატად მოგვეჩვენა. უკან დაბრუნებისას ის პატარა ლიზა, რომელიც მამა სერაფიმემ პირველი ჩაიკრა გულში, ბავშვური ენით ტიტინებდა: „მამა სერაფიმე მხოლოდ ჰვავს მოხუცს, სინამდვილეში კი ბავშვია“.

მრავალი წლის შემდეგ ნ. აქსაკოვა, რომელიც ამ შემთხვევას იხსენებს, წერს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე არ უნახავს ისეთი ბავშვური, ნათელი თვალები, როგორც ჰქონდა ღირს სერაფიმეს, არ უნახავს მისნაირი ღმილი, რომელსაც მძინარე ბავშვის ღმილი თუ შეადარებ, როცა მას ანგელოზები ენევიან.

კიდევ ერთ შემთხვევას გაიმბობთ. სერაფიმეს სენაკის დაკვეთილ კართან მნახველების ჯგუფი იდგა. მათგან ზოგიერთი ლოცულობდა: „უფალო იესუ ქრისტე,



წლით ადრე, როცა ბერი ძლიერ დასუსტდა და მნახველებს ყოველთვის ვეღარ იღებდა, მასთან მომლოცველთა დიდი ჯგუფი მივიდა. წმინდა ბერი სენაკში არ იყო. საროვის მონაზვნებიდან რომელიღაცამ მნახველებს უთხრა: — ტყეში ეძებეთ, ოღონდ ვეჭვობ, რომ იპოვით. ბუჩქებში დაიმალება, ბალახში განებება, მხოლოდ ბავშვების ხმებს თუ გამოეხმაურება. რაც შეიძლება მეტი ბავშვი ნაიყვანეთ და თქვენ წინ ატარეთ.

და აი, მომლოცველთა ჯგუფი საროვის უღრან ტყეში შევიდა. სიღრმეში შესვლას სულ უფრო მალალი და ხშირი ხეები ხვდებოდათ. ტყის სიჩუმე და სინესტე ყველას უფუფლებოდა. ვეება ნაძვების ქვეშ სრული სიბნელე იყო, მაგრამ უეცრად ხეებს შორის მზის სხივი შემოიჭრა. ყველანი გამოცოცხლდნენ და მალე მზით განათებულ მდელიზე აღმოჩნდნენ.

მდელიზე განცალკევებით მდგარ ხეებთან გაჭირვებით მუშაობდა გამხდარი ბერი. შარიშური რომ გაიგო, სწრაფად წამოდგა, მონასტრის მხარეს გამოიხედა, როგორც შემინებული თურდღელი ტყეში შევარდა და თავს მიეფარა.

ბარე ოცმა ხმამ ერთდროულად დავიძახეთ: — მამა სერაფიმე! მამა სერაფიმე! — წერს თავის მოგონებებში ნ. აქსაკოვა, რომელიც იმ ბავშვებში ერთია. ბერის ყურს ბავშვების ხმები მისწე-

ქეო ღმრთისაო, შემინყალენ ჩვენ!” მაგრამ **“ამინ” არ ისმოდა და კარი არ იღებოდა. მაშინ ერთმა ქალმა იქვე მდგომ ბავშვინ ქალბატონს სთხოვა, რომ მის ბავშვს ელოცა: — თქვენმა გოგონამ ლოცვა წარმოთქვას და მაშინ გაგვიღებს!**

მართლაც, როგორც კი გოგონამ ილოცა, შიგინდან **“ამინ”** გაისმა და კარი გაიღო. როგორი სიხარული იყო, როცა წმინდა ბერი დაინახეს!

საყვარელო ბავშვებო! ცხოვრებაში ბევრი მწუხარება გვხვდება: ვილაცას სამარეგ ნააღრევად წაართვა დედა, სხვებს ზამთრობით თბილი კუთხე არა აქვთ... ყოველი თქვენგანი შესაძლოა ავად გახდეს. კიდევ უარესია, როცა მარჩენალი მამა ხდება ავად ან სამუშაოზე შეემთხვევა უბედურება, ხოლო, როცა ავად ხდება დედა, მაშინ მთელ ოჯახს უმძიმს. თქვენც გაქვთ თქვენი პატარა მწუხარებები: დღეს რთული ამოცანა მოგეცეს, იქ გამოცდები გაქვთ ან მეგობრებს ნაწიხებთ — ასეთ დროს გაიხსენეთ, რომ უფალოს წმინდა სერაფიმე ჰყავს. უხმეთ მას თქვენს ლოცვებში, სთხოვეთ ილოცოს თქვენთვის, შეგენით! და ის, ასეთი აღერსანი და თქვენდამი სიყვარულით სავსე, მაშინვე გიპასუხებთ.

„ფრიად მემძლებელ არს ლოცვაი მართლისაი შენენად“ (იაკ. 5,16).

10 წელი აგვისტოს ტოს ომიდან

(მესამე გვერდიდან)

აგვისტოს ცხელ დღეებში გორში დისლოცირებული საარტილერიო ბრიგადისა და ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონები ერთ-ერთი პირველები ჩაერთვნენ ბრძოლაში. რუსი სამხედროებისგან შევლავლებული ოსი სეპარატისტების მიერ ნაღმსატყორცებითა და 122 მმ-იანი ჰაუბიცებით ქართული სოფლების რამდენიმე დღიანი დაბომბვისა და როკის გვირაბიდან რუსული 58-ე არმიის მექანიზებული და ჯავშნასატანკო კოლონების შემოღების შემდეგ, 7 აგვისტოს საღამომად საარტილერიო ბრიგადის რეაქტიულმა და თვითმავალი ჰაუბიცების დივიზიონებმა სეპარატისტების საცეცხლე პოზიციების ჩახშობა და შორსმ-სროლელი რეაქტიული სისტემებით როკის გვირაბიდან შემოსული რუსული სამხედრო კოლონების დამუშავება დაიწყო. მონინალ-მდეგეს ერთდროულად რამდენიმე ასეული ლულა ესროდა. მთელმა მსოფლიომ პირდაპირ ეთერში იხილა ქართული რეაქტიული არტილერიის რაკეტებისგან განათებული ღამის ცა, რა დროსაც ქართველი არტილერისტები ქალაქ ცხინვალის და დაბა ზნაურის მიმდებარე ტერიტორიებზე რამდენიმე ათეული კოლომეტრზე გაჭიმულ სავსე პოზიციებზე გამაგრებულ სეპარატისტების საბრძოლო ტექნიკასა და საცეცხლე ნერტივებს ანადგურებდნენ... ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმისთვის, რომელიც წლების განმავლობაში აწიკებდა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებს, დიდი სიუპრიზი აღმოჩნდა გადაარაღებული და განვრთნილი ქართული შეიარაღებული ძალების წარმოუდგენელი სიძლიერის დარტყმა. რამდენიმე საათის საარტილერიო დამუშავების შედეგად მთლიანად დაიფანტნენ ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო ფორმირებები, განადგურდა ტექნიკა და ცოცხალი ძალის მნიშვნელოვანი რაოდენობა. პანიკაში ჩავარდნილი ცხინვალის თვითგამოცხადებული მთავრობა ჯავაში გაიხიზნა.

თუმცა ქართული არტილერიისთვის ბრძოლა ახლა იწყებოდა. როკის გვირაბიდან განუწყვეტლივ შემოდოდნენ რუსეთის სამხრეთ სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფები, განსაკუთრებით კი 58-ე არმიის ჯავშანტექნიკა, არტილერია, ჰაერსანალიზაციური ქვედანაყოფი და ცოცხალი ძალა. ამ დროს საქმეში შორსმ-სროლელი საარტილერიო დანადგარები ჩაერთო. აგვისტოს ომამდე საქართველოს შეიარაღებული ძალებმა ისრავლმი შეიძინა რამდენიმე ერთეული მულტიკალიბრული თანამედროვე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა ჩრად-გარი, რომლის აგ-160 ტიპის რეაქტიული რაკეტები 45 კმ-მდე მიღრინავს. როკის გვირაბიდან გამოსულ ჯავშნასატანკო და ლოგისტიკურ კოლონებს დიდი ზიანი მიაყენა LAR-160-ის კასეტურმა რაკეტებმა, რომელთაც M-85 ტიპის მსხვერვატ-კუმულაციური სუბელემენტები იფანტებოდა. მცირე ჯავშანგამტანობის მქონე კასეტური სუბელემენტები მეტად ეფექტური გამოდგა მსუბუქი ჯავშანტექნიკის თუ სატივროთ ავტომანქანების განადგურებაზე და მსყობრიდან გამოსაყვანად. LAR-160-ის ცეცხლს გადარჩენილ და გუფთის ხიდზე გადაოსულ კოლონების ნაწილს, რომელიც ცხინვალისკენ მოემართებოდა, წინ კიდევ ერთი უსაამოვნო სიუპრიზი ელოდა.

გასანადგურებლად შემოფრენილი რუსული საფრენი აპარატები რამდენჯერმე იქცნენ ქართველი მეზინიტების სამიზნედ და მსხვერვლად. დიდი ზიანი მიაყენა მონინალმდეგეს 122 მმ კალიბრის რეაქტიულმა არტილერიამ. სროლის შედეგებით მოკლე მანძილიდან გამომდინარე, “ბმ-21 გრადის” ტიპის რეაქტიული სისტემები 21 კმ-მდე აზიანებდნენ და ანადგურებდნენ ფართობზე გამოილი მონინალმდეგეს.

განსაკუთრებულად ეფექტურად ჩეხური წარმოების 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა RM-70 მუშაობდა, რომელსაც ომამდე ცოცხალი ხნით ადრე სპეციალური პროგრამით ჩაუტარდა მოდერნიზაცია. მანქანები ციფრული ცეცხლის მართვის კომპიუტერთა და ნავიგაცია-პოზიციონირების თანამედროვე სისტემებით აღიჭურვა. ავტომატური დამტენი მოწყობილობის წყალობით ამ მანქანას სულ რაღაც ორ წუთში მონინალმდეგის მიმართულებით 80 უმართავი რაკეტის გაშვება შეუძლია. ურთიერთმეთანხმებული ტექნიკით შემოხდნენ საარტილერიო ბრიგადის 152 მმ თვითმავალი ჰაუბიცების DANA-ს, “2C3 აკაცია“-სა და ბუქსირებადი “2A36 გაცინტ-ბ“-ს, აგრეთვე ქვეითი ბრიგადების D-30-სა და “2A65 მსტა-ბ” ტიპის ბუქსირებადი ჰაუ-



ბიცების ბატარეები. სწორედ ამ საარტილერიო სისტემებმა ჩაახშო ასეულობით სხვადასხვა კატეგორიის საცეცხლე ნერტივლი და მონინალმდეგის თავმოყრის რაიონებში დარტყმა მიაყენა.

არტილერიას იყენებდა მონინალმდეგეც. ჩრდილო კავკასიიდან შემოსულ 58-ე არმიის საარტილერიო დანაყოფებს რეაქტიული სისტემა “9p140 ურაგანი” ერთი ბატარეა, 2-3 ბატარეა “ბმ-21 გრადის” და თვითმავალი “2C3 აკაცია” მინიმუმ სამი ბატარეა ჰყავდათ. რუსებმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხეს ქართული საარტილერიო სისტემების დროებითი დაფიქსირება და კონტრბატარული ცეცხლით მათი განადგურება. თუმცა “ურაგანებიდან” გამოიყვებულ კასეტური რაკეტების ძლიერ ცეცხლში რამდენჯერმე მოყვნი ქართველი სამხედროები. საარტილერიო ტექნიკაში დანაკარგი ბრძოლაში უმნიშვნელო იყო, მხოლოდ საავიაციო დაბომბვებისას და მონინალმდეგისთან პირდაპირი საცეცხლე კონტაქტისას განადგურდა რამდენიმე ბუქსირებადი ჰაუბიცა D-30 და ერთი 152 მმ-იანი ჰაუბიცა “მსტა-ბ”. სამაგიეროდ, დანაკარგი იყო ქართული ჯარის უკან დახევისას. რუსებმა გორის ბაზიდან ნაიღს 20-მდე D-30, რამდენიმე D-44-ისა და “მტ-12” სისტემის ქვემეხი, მწყობრიდან გამოსული ორი ერთეული DANA, დანვეს ოთხი გადაძალადული “2C7 პიონი”, ერთი კი ალაფად ნაიღეს. დანაკარგი იყო არტილერისტებშიც. ქვეითი ბრიგადების საარტილერიო დივიზიონების რამდენიმე არტილერისტი საავიაციო დაბომბვებისას დაიღუპა. აგვისტოს ომი ქართული არტილერიის საბრძოლო ეფექტურობაზე ზედმინევით ზუსტი საუბარი უკიდურესად რთულია. რუსული მხარე ომადან ათი წლის შემდეგაც მალავს ტექნიკისა და ცოცხალი ძალის დანაკარგის რაოდენობას, რომელიც არსებული ფაქტების მიხედვით ოფიციალურ მონაცემებს რამდენჯერმე აღემატება.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომში რუსული სამხედრო ავიაცია საბრძოლო მოქმედებებში 8 აგვისტოს დილით ჩაერთო. დაახლოებით დღის 10 სთ-ზე Cy-24-ის ტიპის რუსულმა საფრონტო ბომბდამშენმა ქარელში პოლიციის შენობასთან ორი ბომბი ჩამოაგდო. ერთი საათის შემდეგ ოთხმა მოერიე Cy-25-მა გორში სამატილერიო ბრიგადაზე მიიტანა იერიში. დღის მეორე ნახევარში რუსულმა თვითმფრინავებმა საბრძოლო ფრენის ინტენსივობა გაზარდეს. გზინანის აეროდრომზე, სადაც რეზერვისტები იკრიბებოდნენ, ორი ბომბი ჩამოაგდეს. დღის 3 საათისთვის ქართული სამხედრო-საპერო ძალების ბოლისისა და

მარნეულის აეროდრომები დაბომბეს. მარნეულში რუსულმა ბომბებმა და რაკეტებმა სამი “AN-25”-ის ტიპის თვითმფრინავი გაანადგურეს და 4 კაცი იმსხვერპლეს.

რუსული ავიაცია კონფლიქტის ზონაშიც მოქმედებდა. დილის საათებში ორმა ჩყ-25-მა უმართავი რაკეტებით ერგნეთიდან ცხინვალის მიმართულებით მიმავალი მე-2 ქვეითი ბრიგადის “ლენდროფერების” კოლონა დაბომბა. პირველ დღეს რუსულმა თვითმფრინავებმა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტი 9-ჯერ დაბომბეს. თუმცა ამ იერიშებს მათთვის უდანაკარგოდ არ ჩაუვლია. შუადღისთვის ჯავის მახლობლად 368-ე საიერიშო ავიაპოლკის ჩყ-25 ჩამოვარდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ რუსებს მოიერიშე ქართული ეგონათ და ხელით გადასატან საზენიტო კომპლექსის ორი რაკეტით თავად ჩამოაგდეს. პილოტი, ვიკე-პოლკოვნიკი ოლეგ ტრეხუნსკი, მინაზე პარაშუტით დაეშვა. ომის პირველ დღეს მიზნებს არა მხოლოდ რუსული თვითმფრინავები უტყვენენ. გამთენიისას კოპიტნარის სამხედრო აეროდრომზე განგამი გამოცხადდა. პირადად შემადგენლობამ სასწრაფოდ მოიერიშეების მომზადება დაიწყო. ჯავა-ცხინვალის რაიონში მონინალმდეგის სტაციონარული მიზნის (იარალის დიდი სანყოფი) განადგურებისთვის საბრძოლო დავალებებზე 6 Cy-25-უნდა გაფრენილიყო, საიდანაც 1 ორადგილიანი საბრძოლო-სასწავლო Cy-25-ე და 3 მოდერნიზებული “სკორპიონი” იყო. თითოეულის პილოტებზე ორ-ორი 800 ლ-იანი დამატებითი სანავის ავიზი, ამდენივე “ჰაერი-ჰაერი” კლასის რაკეტა P-60 და ექვს-ექვსი 500 კგ-იანი მსხვერვატ-ფუგასური ბომბი “ოფაბ-500” ეკიდა. ტექნიკური მიზეზების გამო აფრენა მხოლოდ ხუთმა მოიერიშემ შეძლო.

ჰაერში ქართველმა მფრინავებმა ახალი დაავლება მიიღეს - მათ ჯავიდან ცხინვალისკენ მიმავალი რუსული ჯავშნაკოლონა უნდა დაეზომბათ. ამიტომაც საპერო შენაერთი ორად გაიყო და ჯავშანტექნიკის შესაკავებლად 3 მოერიშე გაემართა. მფრინავებმა მიზანს ჩრდილოეთის მხრიდან შემოუარეს და დაახლოებით 300-400 მ სიმაღლეზე დიდ რუსულ კოლონას გადაუფრინეს. რა თქმა უნდა, მსხვერვატ-ფუგასური ბომბები, რომელიც მოიერიშეებზე იარალის სანყოფის განადგურების მიზნით ჩამოკიდეს, მტრის ტანკებს დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა, მაგრამ ქართველ პილოტებს სხვა გზა არ ჰქონდათ. კოორდინატების დაზუსტების შემდეგ, მესამე საბრძოლო შესვლაზე სამმა ჩყ-25-მა მონინალმდეგეს 18 ცალი 500-კგ-იანი ბომბი დააყარა. დასახული ამოცანა მეორე წვეთისკენ გადასრულა. თუმცა ერთი მოიერიშის გაუმართაობის გამო პილოტებს ბომბების ჩამოყრა ვერ შეძლეს. მოიერიშეები კოპიტნარში ვერ მიზანბლად დაბრუნდნენ. მზადების მიუხედავად, განმეორებითი საბრძოლო გაფრენა არ შედგა. პირადად შემადგენლობამ თვითმფრინავების აეროდრომზე განდანიღების და შენიღბვის ბრძანება მიიღო - 8 აგვისტოს საპერო რეიდი 5-დღიანი ომში ქართული ჩყ-25-ის პირველი და უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა იყო. 9 აგვისტოს რუსულმა სამხედრო ავიაციამ მოქმედება განაახლა. გამთენიისას დაბომბა ფოთის პორტი, სენაკის სამხედრო ბაზა და კოპიტნარის აეროდრომი. პირველი დანაკარგი რუსებმა სწორედ აქ განიცადეს. ქართულმა ჰაერსანალიზაციურმა სამუალებებმა აეროდრომის დაბომბვაში მონაწილე ერთ-ერთი თყ-22M3 ჩამოაგდეს. ეს თვითმფრინავი მორი მოქმედების ბომბდამშენების კლასს მიეკუთვნება.

აგვისტოს ომში რუსეთი შორს გამიზნული აგრესიული გეგმით რომ მოქმედებდა, ისიც ადასტურებს, რომ ცხინვალის რეგიონიდან დაახლოებით 200 კმ-ით დაშორებული ფოთი დაბომბა და ლევიან პორტს დაბლოკა. პირველი სიმპტომები, რომ რუსები ფოთთან რაღაცას აპირებდნენ, 7 აგვისტოს გაჩნდა, როცა დაახლოებით 23-30 საათზე ფოთის რადიოლოკაციურმა სადგურმა სოხუმის მახლობლად მყოფ და ოჩამჩირისკენ მიმავალ რუსულ ხომალდებს შორის რადიოსაუბარში ასეთი ფრაზა დააფიქსირა: “ქალაქ ფოთის მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებისთვის მზად ვართ”. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ რაღაც იყო ჩაფიქრებული. 8-9 აგვისტოს გვიან ღამით რუსებმა ფოთს რაკეტები დაუმიზნეს. აფხაზეთში

ოჩამჩირის რაიონიდან ფოთის მიმართულებით 114-ე სარაკეტო ბრიგადამ “ხმელეთი-ხმელეთი” კლასის ტაქტიკური დანიშნულების “ტორქა უ“-ს ტიპის სამი ან მეტი რაკეტა გამოისროლა. დაბომბვის მიზანი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის რაც შეიძლება მეტად დაზიანება, პორტის მუშაობის შეფერხება და მოსახლეობაში პანიკის გამოწვევა იყო.

“2008 წლის აგვისტოში საქართველოს საზღვაო ძალების მცურავი საშუალებების უმრავლესობა (“მეტისის” გარდა) შესაკეთებელი იყო: “იგერია” - მიმდინარეობდა სადოკე საშუალებები; “ქუთაისი” - თურქეთში სარემონტოდ იყო; “თბილისს” ესაჩროებოდა დოკირება, მთავარი და დამხმარე ძრავების კაპიტალური რემონტი; “დიოსკურია” - კორპუსი მოითხოვდა დოკირებას, მთავარი და დამხმარე ძრავები კაპიტალურ რემონტს; დანარჩენი მცურავი საშუალებები, როგორც საბრძოლო ერთეულები, არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ, სამხედრო პორტში მზად იყო რამდენიმე ათეული APEX-ისა და PH-900 Black Shark-ის ტიპის რეზინის სადესანტო, ასევე, შვა Doo-ს ტიპის სწრაფსვლიანი კატარა. რუსულ დაბომბვას სამხედრო პორტში 5 სამხედრო მეზღვაური შეენიარა, 33 დაიჭრა. მსხვერპლი იყო სავაჭრო პორტში, სადაც 7 მუშა დაიღუპა. საზღვაო ძალებიდან დიდი ჰიდროგრაფიული კატარა DHK-81 ჩაძირა, სადესანტო “კურია” კი კორპუსი დაუზიანდა. მცირედ დაზიანდა “თბილისი”, “დიოსკურია”, 10-მდე რეზინის სადესანტო კატარა, აგრეთვე სანაპირო დაცვის “სოხუმი”. დაბომბვის შემდეგ მცურავ საშუალებათა ბათუმში გადაყვანა განდხდა. 10 აგვისტოს დილიდან ბათუმისკენ დაიძრა საზღვაო ძალების ლოგისტიკის სამსახური, რომელსაც მიჰყვებოდა შტაბი და სხვა დანაყოფები. მცურავი საშუალებებიდან ფოთი ყველაზე ბოლოს, 16-00 საათზე “გურია” დატოვა. სანაპირო დაცვის P-21 “გიორგი თორელი” ზღვაში მამის გახიზნა, რომცა რუსული ხომალდები ფოთის მახლობლად იმყოფებოდნენ. შვაი ზღვის ფლოტის ერთ-ერთი ხომალდი “თორელს” ჩაძირვით დაემუქრა, თუკი ფოთს სწრაფად არ დატოვებდა.

11 აგვისტოს ნაშუალებებს რუსეთის საპერო-სადესანტო ჯარების 45-ე პოლკის დივერსანტები ფოთის სამხედრო პორტის დასაზვერად და გასაძარცვად შემოვიდნენ. რამდენიმე დღე რუსი მაროდირები ეხილდებოდნენ აფხაზე, კომპიუტერებს, ქართული მეზღვაურების უნიფორმებს, ავტომობილებს, რეზინის სადესანტო კატარებსა და ა.შ. რისი ნაღებაც შეუძლებელი იყო, გაანადგურეს. გემთსადგომებიდან ააფეთქდა ჩაძირეს “დიოსკურია” და “თბილისი”, სანაპირო დაცვის PP-22 “აიტი”, “გრიფის” პროექტის P-204 და P-205 “ორბი”. რუსებს ნაპირზე სარემონტოდ დაყენებული “წყალტუბო” ვერ გადაუჩრა. ფოთის სამხედრო პორტში მცურავ საშუალებათა განადგურება და ინფრასტრუქტურის ძარცვა რუს მედესანტეთა ნამოქმედარია. ამ დროს შვაი ზღვის ფლოტს თავიი ამბიციები ჰქონდა და ომში თავის გამოჩენა სურდა, რისთვისაც ოფიცრები ჯილოდებსა და სამხედრო ნოდებებს მიიღებდნენ ან სამსახურში დანიშნულებიდან. შესაბამისად, გაჩნდა მითი ფოთთან XXI საუკუნის პირველი “საზღვაო ბრძოლაზე”, სადაც შვაი ზღვის ფლოტმა “უალრესად რთულ პირობებში ქართული ფლოტი განადგურა”. რუსმა საზღვაო ოფიცრებმა შესანიშნავად იცოდნენ საქართველოს საზღვაო ძალების შესაძლებლობები, რომ ტყვიამფრეკვევითა და 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატებით აღჭურვილი კატარებით მეტვე რაკეტებითა და მორსმროლებით ქვემეხებით შეიარაღებულ რუსულ ხომალდებზე არაფერს მოიტანდა, თანაც ასეთ უაზრო ბრძანებას, რომლის შედეგაც წინასწარვე იყო ცნობილი, არავინ გასცემდა.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან 10 წელი გავდა, თუმცა ბევრი რამ დღემდე გაურკვეველია... თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა 169 სამხედრო, აქედან ხუთი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. კანონის გათვალისწინებით, ვინაიდან ორი წლის განმავლობაში ვერ აღმოაჩინეს ვერც ცხედარი და მათი სიცოცხლის შესახებ არც რაიმე მინიმუმბა არსებობს, ამიტომ მათ გარდაცვლილის სტატუსი მიენიჭათ. ამასთან, რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ომს საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე და 14 პოლიციელი ემსხვერპლა, 1 747 კი დაიჭრა. საცხოვრებელი იძულებით დატოვა თითქმის 150 000-მა კაცმა, მათგან დღემდე დევნილია დაახლოებით 30 000 კაცი.

